

# მთავარი თემა - სომხეთი


ვრეაზიული საბაჟო კავშირი საქართველოს  
საზღვრებს უახლოვდება




# საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), გსოფლიო ეკონომიკის მიმოხილვა

საერთაშორისო სავალუტო ფონდი, აპრილი 2014


გვა ზრდა %




გვა ერთ სულ მიწასზე, აგვ დოლარში



ბიუჯეტის დეფიციტი, პროცენტულად გვა-სთან




სახლმწიფო ვალი სულ, პროცენტულად გვა-სთან




# საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), მსოფლიო ეკონომიკის მიმოხილვა

საერთაშორისო სავალუტო ფონდი, აპრილი 2014


საშომხმარებელ ფასების ინდექსი, ინფლაცია




შუამხედროება



მიწინააღმდეგობის საღლო, პროცენტულად მშპ-სთან



ღანაზოვანი, პროცენტულად მშპ-სთან





**პროექტის „საქართველო და მეზობლების“ შუახაზი**

„საქართველო და მეზობლები“ პერიოდული ანალიტიკური გამოცემა, რომელიც მიმოიხილავს და აანალიზებს ეკონომიკური განვითარების, ფინანსური ბაზრებისა და ბიზნეს ტენდენციებს საქართველოს სამეზობლოსა და მნიშვნელოვან საგაბრო პარტნიორებთან. პროექტის მიზანია თვალის ადევნოს მსოფლიოსა და მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე მნიშვნელოვან პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოვლენებს და ამ მოვლენების საქართველოზე შესაძლო გავლენის პროგნოზები შესთავაზოს მკითხველს. ამ პუბლიკაციის მთავარი სამიზნე ჯგუფი და აუდიტორია საქართველოს ბიზნეს სექტორი და საჯარო სექტორში გადაწყვეტილების მიმღები პირები არიან. „საქართველოსა და მეზობლების“ მიერ შემოთავაზებული დასკვნები და პროგნოზები ემყარება საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში ინტენსიური კვლევისა და კონსულტაციების შედეგად მიღებულ ინფორმაციას. პუბლიკაცია მომზადებულია EPRC-ის მკვლევარებისა და კონსულტანტების მიერ.



# მთავარი თემა – სომხეთი

## ევრაზიული საბაჟო კავშირი

### საქართველოს საზღვრებს უახლოვდება

**2013** წლის 3 სექტემბერს სომხეთის პრეზიდენტმა, სერჟ სარქისიანმა მოსკოვში ვიზიტისას გააკეთა განცხადება სომხეთის ევრაზიულ საბაჟო კავშირში განწევრიანების შესახებ.<sup>1</sup> დაახლოებით ერთი თვის წინ კი, 2014 წლის 10 ოქტომბერს, პრეზიდენტმა სარქისიანმა ხელი მოაწერა ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში განწევრიანების ხელშეკრულებას. სამი წევრი ქვეყანა – რუსეთი, ყაზახეთი და ბელარუსი ხელშეკრულების რატიფიცირებას 2014 წლის ბოლოსათვის მოახდენენ. ფორმალური მხარის მოგვარების შემდეგ, სომხეთი ალიანსის სრულფუნქციონირების ნაბიჯად 2015 წელს გახდება.<sup>2</sup> სომხეთის ეს გადაწყვეტილება გვიჩვენებს, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებენ მოსკოვთან ურთიერთობას ერევანში. სომხეთი რუსეთს მთავარ სტრატეგიულ მოკავ-

შირედ მიიჩნევს და არ აპირებს უახლოეს მომავალში ამ პოზიციის გადახედვას.<sup>3</sup>

სომხეთის ეს გადაწყვეტილება ევროკავშირისათვის საკმაოდ მოულოდნელი აღმოჩნდა, რადგან გარკვეული დროის განმავლობაში სომხეთი ევროკავშირში ინტეგრაციას გეგმავდა და შესაბამისი რეფორმებისა და პოლიტიკის გატარებას ცდილობდა.<sup>4</sup> მეტიც, გადაწყვეტილება პოლიტიკური კურსის ცვლილების შესახებ, ერევანმა ევროკავშირთან მოლაპარაკებების დასრულებიდან მხოლოდ რამდენიმე კვირის შემდეგ გამოაცხადა.

ამჟამად, სომხეთ-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობები პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში რეგუ-

ლირდება, რომელიც 1999 წელს შევიდა ძალაში. 2013 წლის ივლისში კი ერევანმა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებისა (AA) და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) მოლაპარაკებებიც დაასრულა.<sup>5</sup> ამ კურსის გაგრძელება სომხეთს ხელს შეუწყობდა და უბიძგებდა, რომ გაეგრძელებინა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტების მოდერნიზაცია, სიღრმისეული რეფორმების გატარება და ევროკავშირთან ინტეგრირება.

2013 წლის სექტემბერიდან, მას შემდეგ, რაც სომხეთმა ევრაზიულ კავშირში განწევრიანებაზე დაიწყო მოლაპარაკებები, ევროკავშირთან ასოცირების გზას გამოეთიშა. ევრაზიულ კავშირში განწევრიანება ევროკავშირთან თანამშრომლობას შეუძლებელს ხდის. „თუ ერთ საბაჟო კავშირში განწევრიანდებით, თავისუფალ სავაჭრო შეთანხმებას ვეღარ გააფორმებთ სხვა სამართლებრივი სისტემის მქონე მხარესთან,“ განაცხადა ჩარლზ ტანოკმა, ევროპარლამენტის ექსპერტმა საგარეო პოლიტიკის საკითხებში.<sup>6</sup>

მიუხედავად იმისა, რომ სომხეთისთვის რუსეთის მნიშვნელობა ფართოდ აღიარებულია, ევრაზიულ კავშირში განწევრიანების გადაწყვეტილება მხო-

ლოდ ეკონომიკური მოსაზრებებით არ იყო მოტივირებული. ამ ანგარიშის შემდგომ თავებში ახნილია, თუ რატომ არის სომხეთის ევრაზიულ კავშირში განწევრიანება ეკონომიკურად გაუმართლებელი და რატომ იყო ეს უფრო პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილება. რუსეთი იყო და დღესაც რჩება სომხეთის მთავარ სტრატეგიულ მოკავშირედ. საბაჟო კავშირში განწევრიანებით, სომხეთის მიზანია, სტრატეგიული მოკავშირის გულიც მოიგოს და მაქსიმალური სარგებელიც ნახოს საბაჟო კავშირის წევრებთან ინტეგრირებიდან. ამავდროს, სომხეთი თავიდან აიცილებს იმ რთულ რეფორმებს, რომელთა გატარება სავალდებულო იქნებოდა ასოცირების ხელშეკრულებისა და DCFTA-ს ფარგლებში.

მთიანმა ყარაბაღმა, რომლის გამოც აზერბაიჯანთან უკვე რამდენიმე ათეული წელია კონფლიქტი აქვს სომხეთს, სავარაუდოდ ერთ-ერთი ყველაზე კრიტიკული როლი ითამაში სომხეთის ამ გადაწყვეტილებაში. 2013-2014 წლებში რუსეთმა აზერბაიჯანს 1 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების სამხედრო აღჭურვილობა მიჰყიდა. ორ ქვეყანას შორის გაფორმებულმა ამ შეთანხმებამ პრეზიდენტ სარქისიანისგან უპრეცედენტო კრიტიკა გამოიწვია.<sup>7</sup> ოფიციალურ ერევანს განსაკუთრებით მწვავე რეაქცია


ჰქონდა, ვინაიდან აღნიშნული გარიგებით მისმა მთავარმა მეტოქემ მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა შეიარაღება; მაგრამ რაც უფრო მნიშვნელოვანია, ეს მხარდაჭერა ბაქოს ერევნის მთავარმა მოკავშირემ აღმოუჩინა.

სომხეთის საბაჟო კავშირში განვერიანებიდან გამომდინარე რისკები საქართველოსთვისაც უფრო პოლიტიკურ ხასიათს ატარებს, ვიდრე ეკონომიკურს. სომხეთის განვერიანებით, ევრაზიული კავშირი ძალიან უახლოვდება და ფაქტიურად ალყაში აქცევს საქართველოს. საბაჟო კავშირის ერთ-ერთი მიზანია რუსეთსა და სომხეთს შორის უკეთესი სახმელეთო კავშირის უზრუნველყოფა, რაც პირველ რიგში ვაჭრობის გაღრმავებისა და საბაჟო კავშირის ნორმალური ფუნქციონირებისთვისაა საჭირო. მაგრამ ეს ერთი შეხედვით უწყინარი მიზანი საქართვე-


ლოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის ორ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს ეხება. ესენია საქართველო-აფხაზეთის რკინიგზისა და დაღესტან-კახეთის გზის მშენებლობა. ცოტა ხნის წინ რუსეთსა და აფხაზეთს შორის ხელმოწერილი სტრატეგიული ხელშეკრულება, რომელიც აყალიბებს ერთობლივ რუსულ-აფხაზურ თავდაცვის სისტემას, უდაოდ კიდევ უფრო მეტი წნეხის ქვეშ აქცევს საქართველოს და მის მიერ არჩეულ ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის კურსს. სომხეთის ევრაზიულ კავშირში განვერიანებიდან გამომდინარე ეკონომიკური საფრთხეები შედარებით უმნიშვნელოა და ძირითადად სავაჭრო ტარიფების საგრძნობი ზრდის გამო სომხეთში ავტომობილების რეექსპორტის შემცირებას უკავშირდება.

## სომხეთის ეკონომიკა

რეალური მშპ-ს ზრდა




მშპ ერთ სულ მოსახლეზე




\* მშპ ერთ სულ მოსახლეზე მოცემულია მიმდინარე საერთაშორისო აშშ დოლარებში.

## ინფლაცია და უმუშევრობა



## სახელმწიფო ვალი (% წილი მშპ-ში)



წყარო: World Economic Outlook, October 2014

სომხეთის რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდა გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში შენედა და ამჟამად 5 პროცენტზე ნაკლებია. ბუნებრივია, ეს ტენდენცია აისახა ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს უფრო დაბალი ზრდის მაჩვენებლებზეც. თუმცა, თუ ყურადღებას არ მივაქცევთ კრიზისულ წლებს, სომხეთში ერთ სულ მოსახლეზე საშუალო შემოსავალი სტაბილურად იზრდება და ამ მაჩვენებლით საქართველოს უსწრებს კიდევ. ინფლაციის მაჩვენებელი საკმაოდ მერყევი იყო გასული ათწლეულის მანძილზე, თუმცა, კარგად მართული მონეტარული პოლიტიკის წყალობით, ყოველთვის ერთნაირი მაჩვენებლის ფარგლებში რჩებოდა. მეორეს მხრივ, უმუშევრობა 2000-იანი წლების დასაწყისში საკმაოდ მაღალი იყო (თითქმის

40 პროცენტი) და განვითარებული ქვეყნის სტანდარტების მიხედვით, კვლავ მაღალი რჩება – დაახლოებით 18 პროცენტი (საქართველოში ანალოგიური მაჩვენებელი 15 პროცენტზე ნაკლებია). 2007-2008 წლებამდე სომხეთმა სახელმწიფო ვალი მშპ-ს თითქმის 10 პროცენტამდე დაიყვანა, თუმცა კრიზისმა და შემდგომმა ეკონომიკურმა დადმასვლამ მხოლოდ ერთ წელიწადში სახელმწიფო ვალი მშპ-ის 20 პროცენტზე მეტით გაზარდა. დღეს, სახელმწიფო ვალი მშპ-თან ოდნავ აღემატება 40 პროცენტს, რაც დღევანდელი ნორმებით არ არის საგანგაშო მაჩვენებელი.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სომხეთის ეკონომიკა მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1993 წლიდან (2009 წლის კრიზისული წლის გარდა)



იგი რეგიონში საშუალოდ ყველაზე მაღალი ზრდის ტემპით ხასიათდება, რაც განაპირობა უცხოური კაპიტალის შემოდინებამ, ეფექტიანმა რეფორმებმა და ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებამ.<sup>8</sup> რა თქმა უნდა, დიდი როლი ითამაშა საერთაშორისო დახმარებამ, რომელიც გარდა დონორების მიერ გამოყოფილი ფინანსებისა, სომხური დიასპორის მიერ გამოყოფილ დახმარებას და საერთაშორისო ფულად გზავნილებსაც მოიცავდა.<sup>9</sup> თუმცა, რამდენიმე მნიშვნელოვანი რეფორმის დახმარებით, შესაძლებელი გახდა იმის გაკონტროლება, რომ ეს თანხები ჭკვიანურად დახარჯულიყო. ამ რეფორმებს შორის აღსანიშნავია „თავისუფალი ფასთნარმოქმნის გარემოს შექმნა, ვაჭრობისა და ინვესტიციებისთვის ღია, ლიბერალური ბაზარის და ლიბერალური ფინანსური სისტემის ჩამოყალიბება, ასევე მიწის და მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოების სრული პრივატიზაცია.“<sup>10</sup> საქართველოსგან (და დსთ-ს სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით), „განსაკუთრებით შთაბეჭქდავი იყო მიწის დროული და სწრაფი პრივატიზაცია.“<sup>11</sup> სხვა მნიშვნელოვანი რეფორმებს შორის უნდა აღინიშნოს ენერგეტიკის სექტორის რესტრუქტურირაცია და სესხების ხელმისაწვდომობის გაზრდა საბანკო სექტორში.


მეორეს მხრივ, გლობალურმა ფინანსური კრიზისმა სერიოზული დაღი დაასვა სომხეთის ეკონომიკას და თითქმის 4 პროცენტამდე შეამცირა მისი ორნიშნულიანი ზრდა. კრიზისმა შესამჩნევი გავლენა იქონია კერძო მოხმარებასა და სახელმწიფო ინვესტიციებზე.

სომხეთის ეკონომიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სოფლის მეურნეობაზე. ამ სექტორის წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში 19 პროცენტია. მეორე ადგილზეა სამშენებლო სექტორი – მშპ-ს 11 პროცენტით, ხოლო მესამეზე სამრეწველო პროდუქცია მშპ-ს 10 პროცენტით. ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და ჰაერის კონდიციონერების მინოდება ერთად მშპ-ს 4 პროცენტს შეადგენს.

სომხეთში ძირითად ბუნებრივ რესურსს თუთიის, ოქროს, კალას და სპილენძის მარაგები და ჰიდრო რესურსები წარმოადგენს. მცირე რაოდენობით მოიპოვება გაზი და ნავთობი.<sup>12</sup>

მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა და მისგან გამონვეულმა ეკონომიკური ზრდის შეფერხებამ შესამჩნევი გავლენა იქონია სომხეთში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ მოსახლეობაზე. 2008-2012 წლებში მოსახლეობის ეს ნაწილი 17,4 პროცენტით გაი-

## სომხეთის მშპ სექტორულ ჭრილში 2013



- სხვა სექტორები - 38%
- სოფლის მეურნეობა, მეტყვეობა, თევზჭერა - 19%
- მრეწველობა - 10%
- ვაჭრობა, ავტომობილების შეკეთება - 13%
- მშენებლობა - 11%
- ფინანსური და სადაზღვევო აქტივობები - 5%
- ელექტროენერჯია, გაზი, ჰაერის კონდიციონერების მიწოდება - 4%

ცხრილი 1: სომხეთის სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ზარდა.<sup>13</sup> სომხეთის ეროვნული სიღარიბის მაჩვენებელი 2012 წელს 32 პროცენტს შეადგენდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური უთანასწორობა სომხეთში უფრო დაბალია, ვიდრე საქართველოში. სომხეთის ჯინის კოეფიციენტი 2004 წელს არსებული 37.5-დან 2012 წელს 30.3-მდე დაეცა, მაშინ როდესაც საქართველოს კოეფიციენტი იმავე წელს 41.4 იყო.<sup>14</sup>

სომხეთისთვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი წყარო რუსეთია. 2012 წელს ინვესტიციების საერთო მოცულობამ 2.5 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც სომხეთში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთლიანი მოცულობის 49 პროცენტია.<sup>15</sup> რუსული კაპიტალი მუდმივად არის წარმოდგენილი ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორში. ვარაუდობენ, რომ რუსუ-

ლი კაპიტალია ჩადებული ქვეყანაში მოქმედი ყველა ეკონომიკური ერთეულის მეოთხედზე მეტში (დაახლოებით 1,300 საწარმო).<sup>16</sup> აღსანიშნავია, რომ 2013 წელს რუსული ინვესტიციების წილი საგრძნობლად დაეცა. სომხეთის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (ArmStat) მონაცემებით, რუსეთიდან შემოსული პირდაპირი ინვესტიციები 2013 წელს 33.6 პროცენტით დაეცა და მხოლოდ 58.6 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა,<sup>17</sup> რაც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. რუსული ინვესტიციები, როგორც წესი, ეკონომიკის სისტემური სექტორების მოდერნიზებაში იდება, როგორცაა სარკინიგზო ტრანსპორტი, ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება, ელექტროენერჯია, ფერადი მეტალების მრეწველობა, საბანკო და სადაზღვევო სფერო, მობილური კომუნიკაცია და ინტერნეტი.

საფრანგეთი, თავისი მნიშვნელოვანი სომხური დიასპორით, უმსხვილესი ინვესტორის პოზიციას რუსეთთან ინანილებს. როგორც წესი, საფრანგეთი მეორე ადგილს იკავებდა რუსეთის შემდეგ, მაგრამ 2013 წელს 99 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა და პირველ ადგილზე გადაინაცვლა.<sup>18</sup>

გლობალური კონკურენციის ინდექსში, სომხეთის პოზიცია წინა წელთან შედარებით არ შეცვლილა და კვლავ 85-ე ადგილზეა. 2014-2015 წლების გლობალური კონკურენციის ანგარიშის თანახმად, სომხეთის კონკურენტუნარიანობისთვის ყველაზე პრობლემურ ფაქტორებს კორუფცია, ფინანსების ხელმისაწვდომობა და საგადასახადო განაკვეთები და რეგულაციები წარმოადგენს. კორუფციის პრობლემები კარგად არის ახსნილი საერთაშორისო გამჭვირვალობის კორუფციის აღქმის ინდექსში, სადაც სომხეთი 175 ქვეყანას შორის 94-ე ადგილზეა (საქართველო 55-ზე). სომხეთის კონკურენტუნარიანობის სირთულეები ასახულია 2015 წლის ბიზნესის წარმოების ანგარიშშიც, სადაც სომხეთი 4 პოზიციით დაწინაურდა და 45-ე ადგილზე გადაინაცვლა. აღსანიშნავია, რომ ბიზნესის დაწყების სიმარტივის მაჩვენებლით სომხეთი მეოთხე ადგილზეა და უსწრებს საქართველოს, რომელსაც მეხუთე ადგილი უჭირავს. ყველა დანარჩენ კატეგორიაში სომხე-

თი გარკვეულწილად ჩამორჩება საქართველოს. გამონაკლისია გადახდის უუნარობის/გაკოტრების სფერო, რაც საქართველოს მარეგულირებლების აქილევსის ქუსლია. სომხეთმა ამ სფეროს მონესრიგება წარმატებით შეძლო, ხოლო საქართველო ამ მხრივ მსოფლიოში 122-ე ადგილზეა. საერთო ჯამში, განვითარების დონით მსგავს ქვეყნებთან შედარებით, სომხეთი მეტ-ნაკლებად კონკურენტულია. თუმცა, საერთო სიტუაციის გამოსასწორებლად, საჭიროა მთელი რიგი მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება, განსაკუთრებით, ანტიკორუფციული მიმართულებით.

## **ევრაზიული საბაჟო კავშირი და ევროკავშირი**

ევრაზიული საბაჟო კავშირი ევრაზიის ეკონომიკური საზოგადოების ნაწილია, რომელიც 2010 წელს ჩამოაყალიბეს რუსეთმა, ყაზახეთმა და ბელორუსმა. აღნიშნული კავშირი დაახლოებით 2 ტრილიონი აშშ დოლარის მშპ-ს მქონე ბაზარს, 167 მილიონ ადამიანს და 900 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის სასაქონლო ბრუნვას აერთიანებს.<sup>19</sup> სომხეთი საბაჟო კავშირში გაწევრიანებას 2015 წლის იანვარში გეგმავს. სავარაუდოდ ყირგიზეთი და ტაჯიკეთიც იგივე კურსს აირჩევენ და შეუერთდებიან კავშირს.

ევრაზიული საბაჟო კავშირის ჩამოყალიბების შემდეგ, სამმა თავდაპირველმა წევრმა ქვეყანამ – რუსეთმა, ყირგიზეთმა და ბელარუსმა იმპორტზე საერთო საგარეო ტარიფების შემოღება დაიწყეს.<sup>20</sup> ამასთან, საბაჟო კავშირის შექმნის პარალელურად საბაჟო კონტროლი გაუქმდა რუსეთის ფედერაციასთან.

დღეს, ევრაზიული საბაჟო კავშირი თავის წევრებს სთავაზობს ერთიან ეკონომიკურ ზონას, სადაც სავაჭრო ბრუნვა არ ექვემდებარება დაბეგვრას და კვოტებს.<sup>21</sup> გარდა ამისა, მესამე ქვეყანასთან ვაჭრობისას, ყველა წევრ ქვეყანას გააჩნია ფიქსირებული სავაჭრო ტარიფები, რეგულაციები და სხვა საერთო ზომები. აღნიშნული კავშირის დაარსებით, რუსეთმა მოიპოვა 25 მილიონიანი მოსახლეობის მქონე ბაზარზე წვდომა. სამაგიეროდ, დანარჩენი ორი ქვეყანა გავიდა 140 მილიონი მოსახლეობის მქონე რუსულ ბაზარზე.

ევრაზიულ საბაჟო კავშირს საფუძველი დაედო 1995 წელს, როდესაც, საბაჟო კავშირის დაარსების მიზნით, ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს რუსეთმა, ბელარუსმა და ყაზახეთმა. 1996 წელს კავშირს შეუერთდა ყირგიზეთი, ხოლო ერთი წლის შემდეგ ტაჯიკეთი. საბაჟო კავშირის განახლებული ინიციატივა მიზნად ისახავს მოიზიდოს და კავშირში გააწევრიანოს ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნები და დაარწმუნოს ისინი, რომ ევრაზიული კავშირი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმებაზე მეტად მომგებიანია.

მაგალითად, არსებული გათვლებით, კავშირში გაწევრიანების შემდეგ, სომხეთს შეუძლია მხოლოდ რუსეთიდან მოიზიდოს 2 – 5 მილიარდი აშშ დოლარი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით.<sup>22</sup>

ევრაზიული განვითარების ბანკის კვლევა საუბრობს ევრაზიული კავშირის რიგ დადებით ეფექტებზე. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ბანკი რუსეთის და ყაზახეთის თანამშრომლობით შეიქმნა, მიკერძოებულობა გამორიცხული არ არის. მათ მიერ იდენტიფირებულ დადებით ეფექტებს შორისაა:<sup>23</sup>

• გაზრდილი სავაჭრო ბრუნვა და მეტი არჩევანი მომხმარებლისთვის, რაც შედარებით დაბალი ტარიფებითა და ვაჭრობისთვის არა-ტექნიკური ბარიერების გაუქმების შედეგად მიიღწევა;

• ბევრად დიდი ბაზარი წევრი ქვეყნებისთვის;

• რეგიონში წარმატების მიღწევის შემდეგ, მსოფლიო ბაზარზე წვდომის გაფართოების პოტენციალი;

• კავშირის წევრი ქვეყნების კონკურენტული უპირატესობის გათ-

ვალისწინებით, შესაძლებელია ქვეყნებს შორის საერთო წარმოების სისტემის შექმნა და წარმოებული პროდუქტის კავშირს გარეთ ექსპორტზე გატანა.

- ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუციების გაძლიერება, რაც რეგიონში გაღრმავებული ინტეგრაციის შედეგად შეიძლება იქნას მიღწეული;
- კავშირის შიგნით ინტეგრაციის გაღრმავების შედეგად, მოსალოდნელია მომსახურების ბაზრების მეტი ლიბერალიზაცია.

ტარიფების საერთო სისტემის მოუხედავად, კავშირის სხვადასხვა წევრი ქვეყნებისთვის შედეგები სხვადასხვანაირია. მაგალითად, სავაჭრო ტარიფებმა სერიოზული ზიანი მიაყენა ყაზახეთის ეკონომიკას, რადგან საბაჟო კავშირში გაწევრიანებამდე ყაზახეთს გაცილებით დაბალი ტარიფები ჰქონდა დაწესებული.<sup>24</sup> მსოფლიო ბანკის თანახმად, ევრაზიული საბაჟო კავშირის მოთხოვნების გამო, ტარიფები ყაზახეთში საგრძნობლად, საშუალოდ 6.7-11.1 პროცენტამდე გაიზარდა.

საბაჟო კავშირის ტარიფები ყველაზე მომგებიანი რუსეთისთვის აღმოჩნდა, რადგან მნიშვნელოვნად გაიზარდა მისი ექსპორტი ყაზახეთსა და ბელარუსში. რუსეთის ექსპორტის ზრდა იმ საბაზრო შესაძლებლობამ გამოიწვია, რომელიც

ევროკავშირიდან და ჩინეთიდან იმპორტირებული პროდუქტის შემცირების გამო წარმოიქმნა.<sup>25</sup> რუსეთს საშუალება მიეცა გაეზარდა საკუთარი ექსპორტი, მიუხედავად იმისა, რომ რუსული პროდუქცია ევროპულსა და ჩინურთან შედარებით ნაკლებად კონკურენტულია (გამონაკლისია სასოფლო სამეურნეო პროდუქცია). შედეგად, ყაზახური და ბელარუსული ბაზრები სხვა ბაზრებიდან მაღალი ხარისხის იმპორტს მოკლებულნი აღმოჩნდნენ. საბაჟო კავშირის მიერ იმპორტზე დაწესებული ტარიფების გამო, ყაზახეთში მნიშვნელოვნად შემცირდა ჩინური პროდუქტის შემოდინება.

დასავლეთის მიერ რუსეთზე დაწესებული სანქციები დეამატებით ზიანს აყენებს ევრაზიულ საბაჟო კავშირს.<sup>26</sup> ეკონომისტ აიტოლკინ კურმანოვას თქმით, “პირდაპირი სუბსიდიების გარეშე, ცენტრალური აზიის ქვეყნები ევრაზიულ საბაჟო კავშირში ინტეგრირებას დადებითად არ აღიქვამენ.” სერგეი შატალოვმა, რუსეთის ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ასევე განაცხადა, რომ ევრაზიული საბაჟო კავშირის ფინანსური მხარდაჭერა მალე 30 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწევს.<sup>27</sup> სუბსიდიების საჭიროება რუსეთის ეკონომიკას უაღრესად რთულ პოზიციაში აყენებს, განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციები ეკონომიკაზე სერიოზული ზეგავლენის მოხდენას იწყებს.

## გავლენა სომხეთის ეკონომიკაზე

ევროკავშირი დღემდე სომხეთის ძირითად სავაჭრო პატრნიორად რჩება. ქვეყნის სავაჭრო ბრუნვის 29 პროცენტი ევროკავშირის ქვეყნებთან ვაჭრობაზე მოდის,<sup>28</sup> აქედან სომხეთის მთლიან ექსპორტში ევროკავშირის წილი 39.4 პროცენტია, ხოლო იმპორტის – 26.5 პროცენტი. სომხეთს ევროკავშირში ძირითადი ნედლი მასალები და სხვადასხვა წარმოებული საქონელი, სასმელები და თამბაქო გააქვს.<sup>29</sup> ევროკავშირიდან იმპორტირებულ პროდუქტს შორის წამყვანი ადგილი მანქანა-დანადგარებს, სატრანსპორტო მოწყობილობას, სხვადასხვა წარმოებულ საქონელს და ქიმიურ ნივთიერებებს უჭირავს.

ევრაზიის განვითარების ბანკის თანახმად, ძირითადი სავაჭრო მაჩვენებლების მიუხედავად, რომლებიც ევროკავშირსა და სომხეთს შორის მჭიდრო კავშირზე მიუთითებენ, ევროპულ საბაჟო კავშირში გაწევრიანება სომხეთისთვის შესაძლოა ყველაზე მომგებიანი გზა იყოს. ევრაზიულ კავშირში ინტეგრაციის შედეგად 200 მილიონი აშშ დოლარის კაპიტალის შემოდინება და სომხეთის მშპ-ს მინიმუმ 2 პროცენტით გაზრდა არის ნავარაუდები.<sup>30</sup> გარდა ამისა, ევრაზიული ბანკის ანგარიშში მშპ-ს დაახლოებით 4 პროცენტთან ზრდა-

საც ელიან, იმ შემთხვევაში თუ მიწერალური პროდუქტების ფასები ევრაზიული საბაჟო კავშირის ფასებს მიუახლოვდება. 4 პროცენტის ზრდა მშპ-ს 400 მილიონი აშშ დოლარით მომატებას ნიშნავს.

გაზის ფასების დაცემა, რაც ევრაზიულ საბაჟო კავშირში განწევრიანების შემდეგ არის მოსალოდნელი, სომხეთს 140 მილიონი აშშ დოლარის დაზოგვის საშუალებას მისცემს ინტეგრაციის პირველ წელს. შედარებისთვის, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემთხვევაში ნავარაუდები იყო მშპ-ს 146 მილიონი აშშ დოლარით გაზრდა.<sup>31</sup> ევრაზიის ბანკის ანგარიშში საუბარია გაზრდილი საბაჟო ტარიფებით გამოწვეულ სარგებელზეც, რომელსაც სომხეთის ცენტრალური ბიუჯეტი მიიღებს. თუმცა, ტარიფების ახალ სისტემას უარყოფითი მხარეებიც გააჩნია. კერძოდ, იგი ეწინააღმდეგება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მოთხოვნებს. საგარეო სავაჭრო ტარიფის საშუალო მაჩვენებელი ევრაზიულ საბაჟო კავშირში 9.6 პროცენტია, ხოლო სომხეთის ამჟამინდელი განაკვეთი 2.4 პროცენტია (საბოლოო საშუალო მაჩვენებელიც კი 8.5 პროცენტია).<sup>32</sup> შესაბამისად, სომხეთს საკუთარი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისა და ევრაზიული კავშირის სატარიფო სისტემების ერთმანეთთან შეთავსება მოუწევს.

**ცხრილი 1. სომხეთის ექსპორტი და იმპორტი 2012 წელს**

ექსპორტი			იმპორტი		
ჰაზმი		100%	Total		100%
ევრაზიული საბაჟო კავშირი	რუსეთი	20	ევრაზიული საბაჟო კავშირი	რუსეთი	25
	ყაზახეთი	0.3		ყაზახეთი	0.2
	ბელ რუსი	0.5		ბელარუსი	0.8
ევროკავშირი	გერმანია	11	ევროკავშირი	გერმანია	6.2
	ბულგარეთი	9.1		იტალია	4
	ბელგია	8.9		ბულგარეთი	2
	ნიდერლანდები	5.6	სხვა	თურქეთი	5
	ესპანეთი	2.1		აშშ	3.4
სხვა	კანადა	6	სხვა	იაპონია	2.3
	ირანი	6.8		ჩინეთი	9.4
	აშშ	6.1		ირანი	5.2
	საქართველო	5.7		უკრაინა	5.1

წყარო: სომხეთი და საბაჟო კავშირი: ეკონომიკური ინტეგრაციის ზეგავლენა. ევრაზიის განვითარების ბანკი

\*\*იმპორტი მოცემულია პროდუქტის წარმოშობის ქვეყნის მიხედვით; საქართველო (1.15 %) გამოტოვებულია იმპორტიდან მონაცემებიდან, რათა ადგილი დაეთმოთ ბელორუსიისა და ყაზახეთისთვის.

იგივე კვლევის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირთან ინტეგრაციამ შესაძლოა სომხეთს გარკვეული სარგებელი მოუტანოს, ევრაზიული საბაჟო კავშირი გაცილებით დიდ ასპარეზს უზხნის ქვეყანას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კვლევა რუსეთისთვის სანქციების დაწესებამდე ჩატარდა. შესაბამისად, მას-

ში მოყვანილი ანალიზი რუსეთისა და ევრაზიული საბაჟო კავშირის ეკონომიკური ზრდის საკმაოდ ოპტიმისტურ და უკვე არარეალურ სცენარს ემყარება. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ ევრაზიული განვითარების ბანკი ევრაზიული კავშირის ფარგლებში, ყაზახეთისა და რუსეთის თანამშრომლობით შეიქმნა, შესაბა-

მისად გარკვეული მიკერძობულობა გამორიცხული არ არის. ფაქტია, რომ ევროკავშირი სომხეთისთვის უდიდესი სავაჭრო პარტნიორია და ასოცირების შეთანხმებაზე უარის თქმით და ევრაზიულ საბაჟო კავშირში განწევრიანებით, სომხეთი საფრთხის ქვეშ აყენებს და ირთულებს სავაჭრო ურთიერთობებს ძირითად პარტნიორ მხარესთან.

ევრაზიულ საბაჟო კავშირსა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სივრცის შესახებ შეთანხმებას შორის შეუთავსებლობის ხაზგასასმელად, ქეთრინ ეშტონის სპიკერი მაია კოჩიჯანიცი აცხადებს: “თუ სომხეთი შეუერთდება ნებისმიერ საბაჟო კავშირს, ეს არ იქნება შესაბამისობაში ორმხრივ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმებასთან, ვინაიდან საბაჟო კავშირს გააჩნია საერთო საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა და კონკრეტული წევრი ქვეყანა ველარ განახორიელებს ერთპიროვნულ კონტროლს მის საგარეო ვაჭრობაზე.”<sup>33</sup>

რუსეთის მიერ ევროპულ პროდუქციაზე დაწესებულ ემბარგოს მოკლევადიან პერსპექტივაში გარკვეული სარგებლის მოტანაც შეუძლია კავშირის წევრებისთვის. დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციების საპასუხოდ, რუსეთმა აშშ-ს, ევროკავშირ-

სა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში წარმოებული სასურსათო პროდუქტების იმპორტი შეზღუდა. შედეგად, ბაზარზე არსებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად რუსეთს ალტერნატიული სავაჭრო პარტნიორების მოძიება და დასავლური პროდუქციის ჩანაცვლება დასჭირდება. 2013 წელს ევროკავშირიდან რუსეთში სასურსათო პროდუქციის ექსპორტმა 15.8 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო აშშ-დან – 1.06 მილიარდი აშშ დოლარი.<sup>34</sup> შესაბამისად, რუსეთს ბაზრის მნიშვნელოვანი სეგმენტი ექნება შესავსები.

ცხრილი 2. 2013 წელს რუსეთში ევროკავშირიდან განხორციელებული სასურსათო ექსპორტის ათი მსხვილი კატეგორია		
1	ხილი	€1.07 მილიარდი (\$1.4 მილიარდი)
2	ყველი	€985 მილიონი (\$1.32 მილიარდი)
3	ღორის ხორცი	€969 მილიონი (\$1.3 მილიარდი)
4	ბოსტნეული	€769 მილიონი (\$1.03 მილიარდი)
5	ალკოჰოლური სასმელები	€725 მილიონი (\$972 მილიონი)
6	ღვინო	€597 მილიონი (\$800 მილიონი)
7	ცომეული და მაკარონი	€575 მილიონი (\$771 მილიონი)
8	სხვა სასურსათო საკონფელი	€496 მილიონი (\$665 მილიონი)
9	შინაური ცხოველების საკვები	€483 მილიონი (\$648 მილიონი)
10	შიგნეული და სხვა ხორცეული	€460 მილიონი (\$617 მილიონი)

წყარო: BBC




სომხეთს და ევრაზიული საბაჟო კავშირის სხვა წევრებს აქვთ შესაძლებლობა მათთვის სასარგებლოდ გამოიყენონ რუსეთსა და დასავლეთს შორის მიმდინარე სანქციების ომი და დაიკავონ რუსული ბაზრის გამოთავისუფლებული ნაწილი. მიმდინარე კრიზისის პერიოდში, ეს შესაძლოა ერთადერთი რეალური შედეგატი იყოს ევრაზიული საბაჟო კავშირის წევრებისთვის. ერთის მხრივ, რუსეთი შეავსებს ცარიელ დახლებს ქვეყნის შიგნით, ხოლო მეორეს მხრივ, ევრაზიულ კავშირს მომხიბვლელ ალტერნატივად აქცევს ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისათვის.

**სომხეთისა და საქართველოს  
ორმხრივი სავაჭრო  
უთიერთობა**


1992 წლიდან მოყოლებული სომხეთმა და საქართველომ ეკონომიკური თანამშრომლობის არაერთ ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ალბათ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებაა, რომელიც საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის 1995 წლის აგვისტოში გაფორმდა. ხელშეკრულება დღემდე ძალაში რჩება, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო და სომხეთი მალე სხვადასხვა სავაჭრო კავშირებში გაერთიანდებიან, ამ ხელშეკრულების სიცოცხლისუნარიანობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. მეორეს მხრივ, ორივე ქვეყანა ინარჩუნებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობას, რომელსაც საქართველი 2000 წელს, ხოლო სომხეთი 2003 წელს შეუერთდა.

**საქართველოს ვაჭრობა სომხეთთან**



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

## სომხეთის წილი საქართველოს მთლიან სავაჭრო ბრუნვაში



*წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*


2014 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში, საქართველოს ექსპორტის 10 პროცენტი სომხეთში გავიდა. შედეგად, სომხეთი აზერბაიჯანის შემდეგ მეორე ყველაზე მსხვილი საექსპორტო ქვეყანა გახდა. თუმცა, აღნიშნული სტატისტიკა გარკვეულწილად შეცდომაში შემყვანია. სომხეთის სტატისტიკის სამსახურის თანახმად, რომელიც იმპორტის მისი წარმოშობისა და ტრანზიტის ქვეყნების მიხედვით განასხვავებს, სომხეთში საქართველოს მიერ განხორციელებული ექსპორტის უდიდესი ნაწილი რექსპორტს წარმოადგენს. ამკარაა, რომ გასული ათწლეულის მანძილზე საქართველო სომხეთის იმპორტისათვის მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყანა გახ-

და, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში წარმოებული პროდუქცია სომხეთის საერთო იმპორტის 1.23 პროცენტს შეადგენს საშუალოდ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ ქვეყანას განსხვავებული ეკონომიკური კურსი აქვს არჩეული, საგრძნობი უარყოფითი გავლენა ორმხრივ სავაჭრო ურთიერთობებზე ნაკლებ სავარაუდოა. საქართველო სომხეთისთვის მნიშვნელოვანია ძირითადად როგორც სატრანზიტო ქვეყანა. ვაჭრობის მასშტაბები სავარაუდოდ დაიკლებს, მაგრამ ეს არ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას საქართველოს სავაჭრო ბალანსზე, რადგან სომხეთში ექსპორტის შემცირება საქართველოში იმპორტის შესაბამისი შემცირებით დაბალანსდება.

საინტერესოა, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მონაცემებით, საქართველო ყველაზე დივერსიფიცირებული საექსპორტო ქვეყანაა სომხეთისთვის, როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე არასასოფლო-სამეურნეო პროდუქტების თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში ექსპორტთან შედარებით საქართველოში გაცილებით ნაკლები მოცულობის პროდუქტი შემოდის (2012 წლის მონაცემებით, საქართველოში 21 მილიონი აშშ დოლარის, ხოლო რუსეთში 143 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროდუქტი), სასოფლო-სამეურნეო ექსპორტის 95 პროცენტი (ცშ-ის 6-ნიშნის კლასიფიკაციის მიხედვით) 49 სხვადასხვა პროდუქტს მოიცავდა, მაშინ როდესაც რუსეთში მხოლოდ 34 დასახელების პროდუქტი გავიდა. არა-

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შემთხვევაშიც, საქართველო სომხეთის ექსპორტისთვის მეოთხე ადგილზეა. თუმცა, ექსპორტის 95 პროცენტი (ცშ-ის 6-ნიშნის კლასიფიკაციით) საქართველოში 147 პროდუქტს მოიცავდა, ხოლო ევროკავშირში მხოლოდ 13 სახეობას (ვაჭრობის მოცულობაც შესაბამისად 49 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა საქართველოში და 320 მილიონ აშშ დოლარს ევროკავშირში). ეს მონაცემები ხაზს უსვამს სომხეთისთვის საქართველოს მნიშვნელობას, როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის თვალსაზრისით და გვიბიძგებს ვივარაუდოთ, რომ განსხვავებული პოლიტიკური კურსის მიუხედავად, ორ ქვეყანას შორის არსებული ეკონომიკური ურთიერთობები არ დაიზრდება.

საქართველოს ექსპორტის წილი სომხეთის მთლიან



წყარო: სომხეთის ეკონომიკური ასოციაცია

საქართველო-სომხეთის სავაჭრო ურთიერთობებზე ყველაზე მეტ გავლენას ახალი ტარიფები მოახდენს, რადგან სომხეთში მესამე (საბაჟო კავშირის არანევრი) ქვეყნიდან შემოტანილ პროდუქტზე საბაჟო ტარიფები გაიზრდება. დღევანდელი მდგომარეობით, სომხეთის მიერ იმპორტზე დაწესებული ტარიფები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს შორის ერთ-ერთი ყველაზე დაბალია. იმპორტის სახეობების 73 პროცენტი

საბაჟო გადასახადისგან თავისუფალია, დანარჩენი სახეობების უმეტესობას კი 10 პროცენტის სავაჭრო კოტეჯი აქვს მინიჭებული. უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის (MFN) ქვეყნებისთვის კი საგდასახადო განაკვეთი 2.7 პროცენტია, როდესაც ევრაზიულ საბაჟო კავშირში მისი შესაბამისი განაკვეთი 2013 წელს 7.6 პროცენტი იყო, 2014 წელს 6.9 პროცენტი, ხოლო 2015 წელს 6 პროცენტი იქნება.<sup>35</sup>

**ცხრილი 3. საბაჟო ტარიფების შედარება სომხეთსა და ევრაზიულ საბაჟო კავშირში საქონლის ჯგუფების მიხედვით, 2012 წლის მონაცემები**


კატეგორია	საბაჟო კავშირი	სომხეთი	კატეგორია	საბაჟო კავშირი	სომხეთი
ცხოველები	12.2	6.7	ქიმიური ნივთიერებები	7.7	0
თევზი და თევზის პროდუქცია	9.99	10	პლასტმასი	9.8	0
რძის პროდუქტები	15.64	10	ტყავი, ფესხაცმელი	9	6.7
ხილი, ბოსტნეული, მცენარეები	10.8	10	ხის მასალა, ქალაღი	13.9	0
ჩაი, ყავა	5.63	10	ბამბა	10.7	0
მარცვლეული	7.15	0	ტექსტილი	11	2
სხვა მცენარეული პროდუქცია	7	3.3	ტანსაცმელი	13.1	10
ცხიმი, ზეთის ზეთი	10.3	10	ქვა, კერამიკული და შუშის მასალა	14.9	6.7
წარმოებული პროდუქცია	13.1	6	მარგალიტი	17.8	0
შაქარი	6.3	10	მეტალი	9.8	2.5
სასმელი, თამბაქო	22.4	5	ელექტრო მოწყობილობები	5.4	5
მინერალური პროდუქცია (ნავთობის ჩათვლით)	4.7	0	ტრანსპორტი	9.7	10
ფარმაცევტული	7	0	ხელსაწყოები	5	0

წყარო: ევრაზიის განვითარების ბანკი

2013 წელს ავტომობილები საქართველოდან სომხეთში ყველაზე მსხვილ საექსპორტო საქონელს წარმოადგენდა. გასულ წელს დაახლოებით 120.5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ავტომობილები გაიგზავნა სომხეთში, რამაც საქართველოდან განხორციელებული მთლიანი ექსპორტის 38 პროცენტი შეადგინა. შესაბამისად, არ არის გასაკვირი, რომ საზღვრის ორივე მხარეს ავტოდილერები წარმოადგენენ ინტერესთა ჯგუფებს, რომლებსაც ყველაზე მეტად ალღევთ ახალი ტარიფები. ტიგრან ოვანესიანის, სომხეთის ავტო-იმპორტის ასოციაციის ხელმძღვანელის, თქმით, როდესაც ევრაზიული საბაჟო კავშირის ტარიფები შევა ძალაში, საქართველოში შექენილი ავტომო-

ბილების ფასი თითქმის ოთხჯერ გაიზრდება სომეხი ავტოდილერებისათვის.<sup>36</sup> საქართველოს ავტომობილების ბაზრის ანალიტიკოსი, შალვა ოგბაიძეც აცხადებს, რომ „დაახლოებით 200 ფიზიკური პირი და ავტოდილერული კომპანია ნახავს ზარალს საქართველოში.<sup>37</sup> ახალი ტარიფები არა მარტო ორმხრივ სავაჭრო ურთიერთობებსა და ავტოდილერებზე მოახდენს ზეგავლენას. დაზარალება სომეხი მომხმარებლის ინტერესებიც, ვინაიდან შეიზღუდება ბაზარზე დღეს არსებული მრავალფეროვნება. თუ ქართული მხარისთვის ავტომობლების ექსპორტი მთავარი საზრუნავია, სომეხი მომხმარებელი და კომპანიები ანალოგიური პრობლემე-

**ავტომანქანების რეექსპორტი საქართველოდან**



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ბის წინაშე დადგებიან სხვა მრავალი პროდუქტის იმპორტირებისას. ამიტომ ერევანი აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს დაახლოებით 900 და-

სახელების პროდუქტის ევრაზიული საბაჟო კავშირის ტარიფებისგან გასათავისუფლებლად. შეღავათი სულ მცირე განწევრიანებიდან პირველი 2-3

**ცხრილი 4.11 ყველაზე გაყიდვადი პროდუქტი სომხეთსა და საქართველოს შორის**

ექსპორტი	ათასი აშშ დოლარი	იმპორტი	ათასი აშშ დოლარი
ავტომობილები	120,597.5	სპილენძის მადანი და კონცენტრატები	100,001.9
ხორბალი და ჭვავი	45,621.4	ბოთლები, შუშის ბოცები და შუშის სხვა კონტეინერები	16,418.8
მინერალი ან ქიმიური სასუქები, აზოტური	12,502.9	ცემენტი	12,652.2
სიმინდი	11,976.4	დაყენებული ეთილის სპირტი და სხვა სპირტები, მოკლებული ნებისმიერ სიძლიერეს	6,614.7
მძიმე საზგაო ტრანსპორტი	8,554.2	საქონლის გადასატანად ან შესაფუთად საჭირო ატრიბუტები; შემაკაველები და პლასტმასის თავსახურები	5,436.6
სოიოს ზეთები და მისი შემადგენელი ნაწილები, რაფინირებული ან არა-რაფინირებული, მაგრამ ქიმიურად არა-მოდიფიცირებული	7,926.0	სიგარები, სიგარელები და სიგარეტები	3,688.6
ხის ფიცარი და მსგავსი საგნები ან ხის მსგავსი სხვა მასალები	7,310.2	პროტეინ-მოკლებული ეთილის ალკოჰოლი, სპირტი, ლიქიორები და სხვა სპირტზე დამზადებული სასმელები	2,749.0
რკინის ნატეხები და ლეროები ან არ-ფეროშენადნობი ფოლადი	6,309.5	დოზირებული მედიკამენტები	2,564.2
თაბაშირის ან თაბაშირის შემცველობის ნივთები	5,494.7	ყავა; ყავის ნაჭუჭი და კანი; ყავის შემცველები	2,367.1
დოზირებული მედიკამენტები	5,190.2	ხორცის, გულგვიძლის ან სისხლის სოსისი და მისი მსგავსი პროდუქცია	1,540.4
თვითმავალი სარკინიგზო ან ტრამვაის სამგზავრო და სატვირთო ვაგონები	3,793.6	ნავთობპროდუქტები და სხვა ჰიდროკარბონატები	1,386.2
ექსპორტი სულ	315,413.8	იმპორტი სულ	181,917.8

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

წლის განმავლობაში გაგრძელდება. ოფიციალური ერევანი ჩამონათვალში შესული პროდუქტების დასახელებისგან ამ ეტაპზე თავს იკავებს,<sup>38</sup> მაგრამ არაოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით, ავტომანქანებიც მოლაპარაკებების საგანია.<sup>39</sup> ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოდან სომხეთში ავტომობილების რეექსპორტი არ შემცირდება, მაგრამ 2-3 წლიანი შეღავათიანი პერიოდის დასრულებით ქართველი და სომეხი დილერები შეძლებენ ნელ-ნელა შეამცირონ ვაჭრობის მასშტაბები და თავიდან აიცილონ გაკოტრება.

ავტომობილების რეექსპორტი ანალოგიური სცენარით განვითარდა ყაზახეთის ევრაზიულ საბაჟო კავშირში განწევრიანების შემდეგ. თუმცა, სომხეთთან შედარებით, ყაზახეთში რეექსპორტის მოცულობა ყოველთვის მოკრძალებული იყო. მხოლოდ 2011 წელს დაფიქსირდა მნიშვნელოვანი ზრდა, რასაც ასეთივე სწრაფი ვარდნა მოჰყვა მომდევნო წელს. სომხეთში კი მანქანების რეექსპორტი 2009 წლიდან საკმაოდ სტაბილური ზრდით ხასიათდებოდა. ამდენად, სომხეთის შემთხვევაში ქართველი ავტო-დილერები უფრო დიდ ბაზარს დაკარგავენ.

გასულ წელს საქართველოდან სომხეთში მეორე ყველაზე დიდი საე-

ქსპორტო პროდუქტი ხორბალი და ჭვავი იყო, სულ 45.6 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების და სომხეთში საერთო ექსპორტის 14 პროცენტი. მე-4 ცხრილში მოცემულია პროდუქტები (იმპორტი და ექსპორტი ცალცალკე), რომლებსაც საქართველოსა და სომხეთს შორის ვაჭრობაში წამყვანი ადგილები უჭირავს.

## ტურიზმი


სომხეთი საქართველოსთვის ტურისტების ნაკადის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. 2013 წელს საქართველოს საზღვარი სომხეთიდან 1,291,838 ვიზიტორმა გადმოკვეთა. ამ მაჩვენებლით სომხეთი უკანასკნელ წლებში მეორე ადგილს იკავებს.<sup>40</sup> 2013 წელს სომხეთიდან სტუმართა რაოდენობამ წინა წელთან შედარებით 40 პროცენტით მოიმატა.<sup>41</sup> თუ ზრდის ასეთი ტემპი შენარჩუნდება, სომხეთი კიდევ უფრო დაწინაურდება სხვა ქვეყნებთან შედარებით და ვიზიტორთა მხრივ პირველ ადგილზე გადაინაცვლებს. სადახლოს სასაზღვრო პუნქტი სომხეთთან ქვეყანაში მეორეა საზღვრის კვეთის სიხშირით. გასულ წელს ვიზიტორთა და ქვეყნიდან გამსვლელთა 17 პროცენტმა სწორედ სადახლოს პუნქტით ისარგებლა.

2013 წელს ტურიზმმა საქართველოს მშპ-ს 6.5 პროცენტი შეადგინა. ამ სექტორზე მოდის ქვეყანაში საერთო დასაქმების 10 პროცენტი, უცხოური ვალუტის გაცვლით მიღებული 1.72 მილიარდი ლარი და საქართველოდან მომსახურების ექსპორტის 58 პროცენტი. საქართველოს ეკონომიკისთვის ტურიზმის მნიშვნელობიდან გამომდინარე და საქართველოში ტურიზმის განვითარებაში სომხეთის როლის გათვალისწინებით, ნათელია, რომ სომხეთი საქართველოსთვის მნიშვნელოვან ეკონომიკურ პატრნიორად რჩება და ეს სურათი არ შეიცვლება სომხეთის ნებისმიერ საბაჟო კავშირში განეწინების

მიუხედავად. სომხები, განსაკუთრებით კი საშუალო დონის წარმომადგენლები, საკმაოდ შეზღუდულები არიან დასასვენებელი ადგილების არჩევანში. რადგან ევრაზიული საბაჟო კავშირის წევრობა არ ზღუდავს თავისუფალ გადაადგილებას კავშირის ფარგლებს გარეთ, საქართველო უახლოეს მომავალში კვლავ დარჩება სომხები ტურისტებისათვის შედარებით იაფ და მიმზიდველ დასასვენებელ ადგილად.

### ფულადი გზავნილები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

ფულადი გზავნილები საქართველოსა და სომხეთს შორის




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური



სომხეთი არასდროს ყოფილა ფულადი გზავნილების მნიშვნელოვანი წყარო. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2008 წელს დაფიქსირდა მთლიანი გზავნილების 3 პროცენტის ოდენობით. ფულადი გზავნილები საქართველოდან სომხეთში შედარებით უფრო მნიშვნელოვანია და უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მთლიანი გზავნილების საშუალოდ 3 პროცენტს უტოლდება. მთლიანობაში, ორ ქვეყანას შორის ფულადი გზავნილების აბსოლუტური რაოდენობა საქართველოსთვის ყოველთვის პოზიტიური იყო, ანუ სომხეთიდან შემომავალი გზავნილები ყოველთვის აღემატებოდა საქართველოდან გასულს.

უკანასკნელ ხანებში ფულადი გზავნილების მოცულობა სომხეთიდან ცალსახად იკლებს. 2014 წლის დასაწყისში საქართველოდან გზავნილების აბსოლუტური მოცულობა აღემატებოდა კიდევ სომხეთიდან შემოსულ გზავნილებს. სომხეთში გზავნილების გადინების შეუმჩნეველი, მაგრამ სტაბილური მატება სომხეთისთვის საქართველოს მზარდ ეკონომიკურ მნიშვნელობაზე მიანიშნებს. თუმცა, ფულადი გზავნილების ისეთ მნიშვნელოვან წყაროებთან შედარებით, როგორცაა რუსეთი, საფრანგეთი თუ ამერიკა, საქართველოს მნიშვნელობა სომხეთისთვის, რა თქმა უნდა, უმნიშვნელოა.

**ფულადი გზავნილების ნაკადები საქართველოსა და სომხეთს შორის**  
(მთლიანი ნაკადების პროცენტული წილი)




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2013 წელს სომხეთიდან საქართველოში 3.6 მილიონი აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განხორციელდა, რაც წინა წელთან შედარებით, როდესაც 5.9 მილიონი აშშ დოლარი შემოვიდა, 37 პროცენტთან ვარდნას ნიშნავს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სომხეთიდან არასდროს ყოფილა დიდი. მეტიც, 2007 წლიდან 2011 წლამდე, სომეხ ინვესტორებს საქართველოდან კაპიტალი გაჰქონდათ. მაგალითად, 2011 წელს, პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა სომხეთიდან დაახლოებით -12.3 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

გასული ხუთი წლის განმავლობაში, სომხეთიდან შემოსული პირდაპირი ინვესტიციების ყველაზე დიდ წილი მშენებლობის, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების, მრეწველობის, სასტუმროებისა და რესტორნების ბიზნესში ჩაიდო. ყველაზე დიდი ინვესტიციები მშენებლობაში 2009 წელს განხორციელდა, მაგრამ მომდევნო ორი წლის განმავლობაში სომეხმა ინვესტორებმა ჩადებული კაპიტალი სწრაფადვე გაიტანეს ქვეყნიდან. 2012-2013 წლებში ყველაზე დიდი ინვესტიციები მრეწველობის დარგში ჩაიდო. ორივე წლისათვის მთლიანმა ინვესტიციამ 1.2 მილიონ აშშ დო-

### პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სომხეთიდან სექტორების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური

ლარზე მეტი შეადგინა. თუმცა, 2014 წელს სასტუმროებისა და რესტორნების ბიზნესი გახდა უფრო მიმზიდველი. ამ სფეროში განხორციელებულმა უცხოურმა ინვესტიციებმა დაახლოებით 523 ათასი აშშ დოლარი შეადგინა. საერთო ჯამში, 2009-2014 წლებში სომეხმა ინვესტორებმა გაცილებით მეტი კაპიტალი გაიტანეს საქართველოდან, ვიდრე განათავსეს ინვესტიციების სახით. შედეგად, წმინდა პირდაპირმა ინვესტიციებმა -23 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

ასევე უმნიშვნელოა ქართული პირდაპირი ინვესტიციების წილი სომხეთში. სტატისტიკური ანგარიშების უმეტესობა ქართულ ინვესტიციებს არც კი განიხილავს ცალკე და „სხვა ქვეყნების“ კატეგორიის ქვეშ აერთიანებს.<sup>42</sup> ერთი მნიშვნელოვანი გამონაკლისია ქართველი ბიზნესმენის, თემურ ქარჩავას კომპანია “Anaklia IEP Holding,” რომელიც 600 მილიონი აშშ დოლარის ინვესტირებას აპირებს ვანაძორში გაზის თერმო-ელექტრო სადგურის მშენებლობაში.<sup>43</sup> ეს მნიშვნელოვნად გაზრდის საქართველოს პირდაპირი ინვესტიციების წილს და საერთოდ საქართველოს კაპიტალის მნიშვნელობას სომხეთში. ამ ეტაპზე გაურკვეველია აღნიშნული ინვესტიციის მოტივაცია და საფუძველი; განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქართველოს მთავრობა აქტიურად

ცდილობს ინვესტორების დაინტერესებას საქართველოს ჰიდრო და თერმო ელექტრო სადგურების პოტენციალით.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელმაც შესაძლოა იქონიოს გავლენა საქართველოზე, ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფნის მშენებლობაა. ეს არის 556 კილომეტრის სიგრძის ავტობანი, რომელიც საქართველოდან ირანის საზღვრამდე გადაიჭიმება. გრძელვადიან პერსპექტივაში ეს არის გაცილებით დიდი ჩრდილოეთ-სამხრეთი სატრანსპორტო არტერიის ნაწილი, რომელიც რუსეთს საქართველოსა და სომხეთის გავლით დააკავშირებს ირანთან და ინდოეთთან. სომხეთისთვის ეს აშკარად ეკონომიკური და პოლიტიკური სარგებლის მომტანი პროექტია, თუმცა საქართველოსთვის შესაძლოა ნამდვილ თავის ტკივილად გადაიქცეს. ერთის მხრივ, ამ პროექტის განხორციელებისთვის საქართველო რუსეთის მხრიდან გაზრდილი ზენოლისთვის უნდა მოემზადოს, ხოლო მეორეს მხრივ ასეთმა თანამშრომლობამ შესაძლოა გაანაწყენოს აზერბაიჯანი, რომლისთვისაც სომხეთის მიმდინარე იზოლაცია მნიშვნელოვანი პოლიტიკური პლიუსია.

მეორე პროექტი, რომელიც სომხეთისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი იქნება, ხოლო საქართველოსათვის

კიდევ უფრო მეტი პოლიტიკური ზიანის მომტანი, არის აფხაზეთი-საქართველო-სომხეთის რკინიგზის პროექტი, რომელსაც რუსეთი აქტიურად უწყობს ხელს. რკინიგზის ეს პროექტი ე.წ. „მცოცავი ოკუპაციის“ ნაწილია, რომელსაც რუსეთი საქართველოს მიმართ ახორციელებს. შესაბამისად, ამ პროექტიდან მომდინარე პოლიტიკური საფრთხეები და რისკები, საქართველოსთვის მნიშვნელოვნად გადანონის პოტენციურ ეკონომიკურ სარგებელს.

## **დასკვნები და რეკომენდაციები:**

ახლო მომავალში:

- ორ ქვეყანას შორის ვაჭრობა აუცილებლად მოექცევა წნეხის ქვეშ. ეს განსაკუთრებით ეხება ქართულ ექსპორტს, იმ მაღალი ფიქსირებული სავაჭრო ტარიფების გამო, რომელთა დაწესებაც სომხეთს მოუწევს. საქართველოდან შეტანილი პროდუქტები შედარებით გაძვირდება და, შესაბამისად, ნაკლებად კონკურენტული იქნება სომხურ ბაზარზე ევრაზიული კავშირიდან შეტანილ ანალოგიურ პროდუქტებთან შედარებით. შესაბამისად, მოსალოდნელია სომხეთში ექსპორტის მოცულობის შემცირება. იმის გათვალისწინებით, რომ ექს-

პორტის დიდ ნაწილს რეექსპორტი წარმოადგენს, მოსალოდნელია საქართველოს მთლიანი სავაჭრო ბრუნვის შემცირება. ვინაიდან საქართველოში წარმოებული პროდუქცია სომხეთში განხრციელებული ექსპორტის საკმაოდ მცირე ნაწილს წარმოადგენს, ექსპორტის შემცირება მნიშვნელოვნად არ დააზიანებს ადგილობრივ მწარმოებლებს.

- სომხეთში ავტომობილების რე-ექსპორტი საგრძნობლად შემცირდება. თუმცა, ვადები კვლავ დასაზუსტებელია. ავტომობილები საქართველოსთვის უმსხვილეს საექსპორტო პროდუქტს და სომხეთში განხორციელებული ექსპორტის 38 პროცენტს შეადგენს. სომხეთის ბაზრის შემცირება გულისხმობს, რომ საქართველომ დროულად უნდა მოძებნოს ალტერნატიული ბაზარი ეკონომიკაზე უარყოფითი ზეგავლენის თავიდან ასაცილებლად ან შესამსუბუქებლად. თუმცა, ამ ბაზრის ჩანაცვლება არ იქნება ადვილი და ეკონომიკა სავარაუდოდ იგრძნობს მის შედეგებს. უარყოფითი გავლენის შემსუბუქება შესაძლებელი იქნება თუ სომხეთი გარკვეული ტიპის საქონელზე (მათ შორის ავტომობილებზე) მოახერხებს დაბალი ტარიფების შენარჩუნებას.

- ფულადმა გზავნილებმა საქართველოდან სომხეთში შესაძლოა კვლავ

განაგრძოს ზრდა. რაც შეეხება გზავნილებს სომხეთიდან, მათი უმნიშვნელო მოცულობიდან გამომდინარე, ნაკლებად საყურადღებოა.

- სომხეთის მიერ საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უმნიშვნელოა და მისი კიდევ უფრო შემცირება საქართველოს ეკონომიკაზე უარყოფით გავლენას ვერ მოახდენს. გასული ხუთი წლის განმავლობაში, სომხეთიდან შემოსულმა მთლიანმა პირდაპირმა ინვესტიციებმა -23 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

გრძელვადიანი მომავალი:

- ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში რუსეთის ე.წ. “მცოცავი ოკუპაციის” გააქტიურების გამო, საქართველო შესაძლოა უფრო მეტი პოლიტიკური წნეხის ქვეშ აღმოჩნდეს მომავალში; განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ფაქტიურად ევრაზიული საბაჟო კავშირის წევრი ქვეყნების ალყაში ექცევა. რუსეთი აუცილებლად შეეცდება სომხეთთან პირდაპირი სახმელეთო კავშირის უზრუნველყოფას. ამ მხრივ ყველაზე მეტი ზენოლა მოსალოდნელია აფხაზეთის რკინიგზის პროექტის განხორციელებისთვის. საქართველოს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, თბილისმა ამ პროექტის განხორციელებას ნებისმიერი

საშუალებით უნდა შეუშალოს ხელი.

- სომხეთის ევრაზიული საბაჟო კავშირის წევრობის შედეგები იმდენად მნიშვნელოვანი არ არის დღეს, რამდენადაც ეს გრძელვადიან მომავალში იქნება. რეგიონში არსებული მრავალწლიანი გაყინული კონფლიქტების გამო, სამხრეთ კავკასია უკვე კარგავს მრავალ ეკონომიკურ შესაძლებლობას. ერთმანეთთან შეუთავსებელ ეკონომიკურ ბლოკად დაყოფა, კიდევ უფრო შეასუსტებს რეგიონულ ინტეგრაციას და დაგვაკარგვინებს განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის მრავალ შესაძლებლობას, მაშინაც კი თუ შიდა კონფლიქტების მოგვარება მოხერხდება.

# გამოყენებული ლიტერატურა

- 1 „Armenia to join Russia Trade bloc, surprises EU” (September 2013); EU Observer; Accessed on 28.11.2014 <http://euobserver.com/foreign/121304>
- 2 „Armenia Joins Eurasian Union” (October 2014); Asbarez Post; Accessed on 28.11.2014, <http://asbarez.com/127785/armenia-joins-eurasian-union/>
- 3 Laure Delcour (2013); Armenia, London School of Economics, Ideas; <http://www.lse.ac.uk/IDEAS/publications/reports/pdf/SR019/SR019-Delcour.pdf>
- 4 იგივე.
- 5 Countries and Regions: Armenia (2014), <http://ec.europa.eu/trade/policy/countries-and-regions/countries/armenia/>
- 6 Laurence Peter(2013); Armenia rift over trade deal fuels EU-Russia tension; Accessed on 28.11.2014 <http://www.bbc.com/news/world-europe-23975951>
- 7 „Yerevan Angry at Russian Arms Sale to Baku” (July 2014); Global Voices Caucasus, Institute for War and Peace Reporting <https://iwpr.net/global-voices/yerevan-angry-russian-arms-sales-baku>; “Neighborhood Watches as Azerbaijan Arms up”(July 2013); Global Voices Caucasus, Institute for War and Peace Reporting <https://iwpr.net/global-voices/neighbourhood-watches-azerbaijan-arms>
- 8 Armenia Overview, The World Bank; Accessed on 28.11.2014 <http://www.worldbank.org/en/country/armenia/overview>
- 9 Mitra S., et al (2007); The Caucasian Tiger: Sustaining Economic Growth in Armenia; World Bank Publications; p. 7
- 10 იგივე, p.33.
- 11 იგივე.
- 12 The Eurasia Centre, Armenia: An Economic Review, <http://www.eurasiacenter.org/country%20reports/europe/ArmeniaEconomicOverview.pdf>
- 13 Bertelsmann Stiftung Transformation Index (BTI) 2014 - Armenia Country Report; Accessed on 28.11.2014; [http://www.bti-project.de/uploads/tx\\_itao\\_download/BTI\\_2014\\_Armenia.pdf](http://www.bti-project.de/uploads/tx_itao_download/BTI_2014_Armenia.pdf)
- 14 GINI Index, World Bank dataset; Accessed on 28.11.2014 <http://data.worldbank.org/indicator/SI.POV.GINI?page=2>
- 15 Coordinated Direct Investment Survey (2012), International Monetary Fund
- 16 “Russia Investments in Armenia’s real economy fell to \$86.25 million last year;” Armenian Banks; 08.04.2014. Accessed on 28.11.2014 <http://www.armbanks.am/en/2014/04/08/74187/>
- 17 Armenian Development Agency, Foreign Direct Investments by Countries in 2013; Accessed on 28.11.2014 <http://www.ada.am/eng/for-investors/fdi-statistics/foreign-direct-investments-by-countries/>
- 18 იგივე.
- 19 Francisco G. Carneiro (2013); What Promises Does the Eurasian Customs Union Hold for the Future? Poverty Reduction and Economic Management (PREM) Network;
- 20 იგივე
- 21 ავტოდღიერებისთვის სომხეთის ბაზარი იხურება; BusinessPressNews; 22.04.2014. Accessed on 28.11.2014 <http://www.bpn.ge/ekonomika/3880-avtodilerebisthvis-somkhethis-bazari-ikhureba.html?lang=ka-GE>
- 22 “Russia Investments in Armenia’s real economy fell to \$86.25 million last year;” Armenian Banks; 08.04.2014. Accessed on 28.11.2014 <http://www.armbanks.am/en/2014/04/08/74187/>
- 23 Francisco G. Carneiro (2013); What Promises Does the Eurasian Customs Union Hold for the Future? Poverty Reduction and Economic Management (PREM) Network;
- 24 იგივე

25 იგივე

26 “Vladimir Putin’s Impotent Eurasia Union,” Foreign Policy, 5.06.2014. Accessed on 28.11.2014 [http://www.foreignpolicy.com/articles/2014/06/05/vladimir\\_putins\\_impotent\\_eurasian\\_union\\_kazakhstan\\_belarus\\_ukraine](http://www.foreignpolicy.com/articles/2014/06/05/vladimir_putins_impotent_eurasian_union_kazakhstan_belarus_ukraine)

27 იგივე

28 Countries and Regions: Armenia; European Commission, Trade section. Accessed on 28.11.2014 <http://ec.europa.eu/trade/policy/countries-and-regions/countries/armenia/>

29 Ibid

30 Armenia and the Customs Union: Impact of Economic Integration; Eurasian Development Bank

31 Ibid

32 ტარიფები და იმპორტი: შეჯამება და გადასახადების მაჩვენებლები. სომხეთი. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია; ნანახია 2014 წლის 28 ნოემბერს <http://stat.wto.org/TariffProfile/WSDBTariffPFVview.aspx?Language=E&Country=AM>

33 Armen Sahakyan (2013), Armenia will Join Russian Customs Union, <http://www.europeaninstitute.org/September-2013/armenia-will-join-russian-customs-union.html>

34 “Russia Hits West with Food Import Ban in Sanctions Row,” BBC News Europe, 7.08.2014. Accessed on 28.11.2014 <http://www.bbc.com/news/world-europe-28687172>

35 ევრაზიის განვითარების ბანკი (2013); სომხეთი და საბაჟო კავშირი: ეკონომიკური ინტეგრაციის ზეგავლენა.

36 ავტოდილერებისთვის სომხეთის ბაზარი იხურება; BusinessPressNews; 22.04.2014. Accessed on 28.11.2014 <http://www.bpn.ge/ekonomika/3880-avtodilerebishvis-somkhetis-bazari-ikhureba.html?lang=ka-GE>

37 “Eurasian Union Dumps Georgian-Armenian Car Trade,” Georgian Journal, 12.06.2014; Accessed on 28.11.2014; <http://www.georgianjournal.ge/business/27489-eurasian-union-dumps-georgian-armenian-car-trade.html>

38 “NGO vs. Ministry of Economy: Demanding Documents for Customs Union Association,” ePress, 24.09.2014. Accessed on 28.11.2014 <http://www.epress.am/en/2014/09/24/ngo-vs-ministry-of-economy-demanding-documents-for-customs-union-accession.html>

39 „Possible Exemptions on Car Imports in Armenia,” Georgian Journal, 06.06.2014; Accessed on 28.11.2014 <http://www.georgianjournal.ge/business/27433-possible-exemptions-on-car-import-in-armenia.html>

40 უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტორების ყველაზე დიდი ნაკადი თურქეთიდან შემოდის, თუმცა ეს მაჩვენებელი ტრანზიტული სატვირთო მანქანების მძღოლებსაც მოიცავს, რომლებიც რა თქმა უნდა ტურისტებად ვერ ჩაითვლებიან და რომელთა რაოდენობა და საზღვრის კვეთის სიხშირე საკმაოდ მაღალია. 2014 წელს სომხეთი ვიზიტორთა მხირვ მესამე ადგილზეა და ოდნავ ჩამორჩება აზერბაიჯანს. 2013 წელთან შედარებით ზრდა მხოლოდ 0.36 პროცენტია.

41 საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (2013), Georgian Tourism in Figures; ნანახია 28.11.2014 <http://georgia.travel/uploads/angarishiweli/eng.pdf>

42 მაგალითად, იხილეთ ორმხრივი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკა. გაეროს კონფერენცია ვაჭრობასა და განვითარებაზე. ნანახია 2014 წლის 28.11 <http://unctad.org/en/Pages/DIAE/FDI%20Statistics/FDI-Statistics-Bilateral.aspx>

43 “Why a Georgian Businessman is Investing \$600 million in Armenia,” Georgian Journal, 04.09.2014. Accessed on 28.11.2014 <http://www.georgianjournal.ge/business/28140-why-a-georgian-businessman-is-investing-600-million-in-armenia.html>

## ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის შესახებ

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC) იმ იშვიათი ტიპის კვლევით ცენტრებს (ე.წ. think tank) მიეკუთვნება, რომლებიც ანალიტიკური საქმიანობის და ადვოკატირების მეთოდების კომბინრებით ახერხებენ ყველაზე აქტუალური ეკონომიკური საკითხების წინ წამოწევას. EPRC ფართო საზოგადოებასა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს აწვდის დროულ, კვალიფიციურ და ფაქტებზე დაფუძნებულ რეკომენდაციებსა და ანალიტიკურ პროდუქტს, ხელს უწყობს აქტუალურ საკითხებზე საჯარო დებატებს და აღნიშნულ საკითხებში საზოგადოების გარკვევას.

დაარსების პირველივე დღიდან EPRC აქტიურ როლს თამაშობს სამოქალაქო საზოგადოებასა და საჯარო სექტორს შორის სამუშაო კონტაქტების გამყარებაში. EPRC-ის კომპეტენციის სფეროს წარმოადგენს ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური პოლიტიკის საკითხები, ფისკალური პოლიტიკა, სახელმწიფო ბიუჯეტის გამჭვირვალობა, მსხვილი სახელმწიფო თუ დონორების მიერ დაფინანსებული პროგრამების განხორციელების მონიტორინგი და სხვა. არსებობის თითქმის 12 წლის მანძილზე EPRC-მ შეიძინა ობიექტური, სანდო და კვალიფიციური ინფორმაციის წყაროს რეპუტაცია.





# საქართველო და სომხეთი ძირითადი ინდიკატორები



საერთაშორისო  
გამჭვირვალობა -  
კორუფციის აღქმის  
ინდექსი  
2013



HERITAGE FOUNDATION  
- ეკონომიკური  
თავისუფლების ინდექსი  
2013



მსოფლიო ბანკი -  
ბიზნესის წარმოების  
სიმარტივის ინდექსი  
2013



გლობალური ინოვაციის  
ინდექსი  
2013



მსოფლიო ბანკი -  
მთლიანი ეროვნული  
შემოსავალი ერთ სულ  
მოსახლეზე  
2012

წყარო: აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი 2014, საინფლაციო კლიმატის მონიტორინგი



ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC)  
ფალიაშვილი/მოსაშვილის ქ. 85/24, მეოთხე სართული, 0162, თბილისი, საქართველო.  
ტელ/ფაქსი: +995 32 2 207 305  
e-mail: info@eprc.ge  
www.eprc.ge